პროექტის განმარტება

პროექტი №№ VV-62/17 დამუშავდა 2017 წლის საინვესტიციო გეგმის თანახმად, რომელიც ეხება ქ. თბილისში ჩუღურეთის საქსელო რ-ის ტერიტორიაზე ს/ჯ № 6176-დან გამომავალი მ/ძ-ის (6კვ.) მიწისქვეშა ამორტიზებული კაბელის შეცვლას ს/ჯ № 6702-მდე.

გაითხაროს საკაბელო ტრანშეი ს/ჯ № 6176-დან გორკის ქ-ის ტროტუარზე, ბუხაიძის ქ-ის გადაკვეთა შესრულდეს გვირაბული მეთოდით „კროტის" გამოყენებით, ამავე ქ-ის ტროტუარზე და სავალი ნაწილის გვერდულზე ს/ჯ № 6702-მდე 1ც. კაბელისათვის, მოეწყოს საკაბელო ბალიში წვრილფრაქციური ქვიშით, მიწისქვეშა კომუნიკაციების გადაკვეთაში ჩაიდოს სქელკედლიანი დამცავი მილი, რომელშიდაც შემდგომ გატარდეს სამონტაჟო კაბელი, ჩაიდოს კაბელი NA2XSEY1 (3*240RM/25)mm2 კვეთის, მიეყაროს ქვიშა, დაეყაროს ქვიშა-ხრეში – დაიტკეპნოს, დაედოს სასიგნალო პოლიეთილენის ლენტი, დაეყაროს ქვიშა-ხრეში, ღორღი – დაიტკეპნოს და დაიგოს ასფალტი.

ჩადებულ მიწისქვეშა კაბელს გაუკეთდეს საბოლოო ქუროები, შემოწმდეს იზოლიაციის სიდიდე მეგაომმეტრის საშუალებით და მისი დასაშვებ ნორმებში არსებობის შემთხვევაში არსებული ამორტიზებული კაბელი გამოიხსნას ს/ჯ-ებში ძალოვანი გამთიშველებიდან და მათ ადგილზე შეერთდეს დამონტაჟებული ახალი კაბელის წვერები.

სამშენებლო–სამონტაჟო სამუშაოები შესრულდეს ПУЭ–ს და СНиП–ის ნორმების შესაბამისი პუნქტების დაცვით.